1389-11-3-202102111841

N 1389 11/02/2021

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №27
დაფინანსების წყარო საკუთარი შემოსავლები (პროგრამული კოდი 310901)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2021 წლის ,,11" ,,თებერვალს" ქ. თბილისში

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული ,, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვით. („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]'' ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მე-2 მუხლის ,,ა'' პუნქტის საფუძველზე) (CPV კოდი **22400000**,**22455000**), სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვით.

ერთის მხრივ **სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო** (შემდგომში შემსყიდველი) სააგენტოს უფროსის მოადგილის **დავით ალადაშვილის** სახით. მისამართი: ქ.თბილისი, გ.გულუას ქ. № 6, ს/კ 204578581. ტელ: 2753910. საბანკო რეკვიზიტები: ცენტრალური ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200165022. ხოლო მეორეს მხრივ **შპს ინტერპრინტჯორჯია** (შემდგომში მიმწოდებელი) მისი დირექტორის **ზურაბ ურუშაძის** სახით მისამართი: თბილისი, ი.პეტრიწის N14ა, ბინა N71(ფაქტიური მისამართი: შარტავას ქ. N35/37). ს/კ 205232639. ტელ: 577494877. ელ. ფოსტა: **interprintgeorgia@gmail.com** საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი BAGAGE22, ა/N GE57BG0000000233295600. ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას დაუმზადოს და მიაწოდოს შემსყიდველს 50 (ასორმოცდაათი) ცალი სამსახურებრივი პირადობის მოწმობა ინტეგრირებული ჩიპით და 70 (სამოცდაათი) ცალი - ჩიპის გარეშე (წინამდებარე ხელშეკრულების და ამავე ხელშეკრულების მე-3

მუხლის 3.2 პუნქტში მითითებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლების, რაოდენობისა და ფასების ცხრილის შესაბამისად) (შემდგომში საქონელი) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
2.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და ფოტოსურათების ბარათზე დატანა.ბარათი უნდა იყოს დამზადებული შემსყიდველის მიერ განსაზღვრული დიზაინისა და მიწოდებული მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

მუხლი 3. საქონლის ღირებულება

3.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით (მათ შორის ტრანსპორტირების) შეადგენს **218 (ორას თვრამეტი ლარი) ლარს,** დღგ-ს ჩათვლით.
3.2 საქონლის ტექნიკური მახასიათებლები,რაოდენობები და ფასების ცხრილი:

N #	პირადობის დამადასტურებელი ბარათები	განზ-ბა	რ-ბა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	უჩიპო პლასტიკური ბარათი - ზომები CR-80 (ISO-7810) სიგანე - 85,60±3%მმ , სიმაღლე 53,98±3%მმ , სისქე - 0,76 მმ ბეჭდვა ორმხრივი ფერადი, ბარათის სრულ ზედაპირზე (edge to edge)	cali	70	1.4	98
2	ჩიპიანი პლასტიკური ბარათი - ინტეგრირებული არაკონტაქტური ჩიპით-13,56 MHz.Mifare Classic 1k ზომები : სიგანე - 85,60±3%მმ , სიმაღლე 53,98±3%მმ , სისქე - 1.0 მმ ბარათს გააჩნია უნიკალური 4 ბაიტიანი ID ბეჭდვა ორმხრივი ფერადი, ბარათის სრულ ზედაპირზე (edge to edge)	cali	50	2.4	120
					218

მუხლი 4. მომსახურების გაწევის პირობები ვადები და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად შემსყიდველის სიტყვიერი ან/და წერილობითი მოთხოვნიდან **5 (ხუთი) სამუშაო** დღის განმავლობაში (დასაბეჭდი ინფორმაცია მიწოდებული იქნება შემსყიდველის მიერ).
4.2 მომსახურების უნდა მოხდეს შემსყიდველის მისამართებზე: **თბილისი - გია გულუას ქუჩა N6.**

მუხლი 5. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
5.1.1 გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;
5.1.2 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;
5.1.3 კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
5.2.1 დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;
5.2.2 გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ განხორციელებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

მუხლი 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად მომსახურების გაწევის შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის, მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით. (ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც დაჭირდება კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მიერ დასკვნის მომზადებას).
9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობ(ებ)ის არაჯეროვანი შესრულებისათვის, ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5 პროცენტის ოდენობით. ამ პუნქტის მოქმედების დროს გამოირიცხება 9.1 პუნქტის მოქმედება.
9.3 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 9.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.
9.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს იმ შემთხვევაშიც, თუ ზიანი მიადგა მესამე პირებს და ეს შედეგი არ დადგებოდა ვალდებულება ჯეროვნად, რომ შესრულებულიყო.
9.5 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:
9.5.1 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით. ფორს-მაჯორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9.5.2 ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 9.5.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს;
9.5.3 ხელშეკრულების 9.5.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.
9.6 მიმწოდებლის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტამდე მიმწოდებელი ვალდებულია ვადაგადაცილებული დღეებისათვის და ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასზედ დაკისრებული პირგასამტეხლო(ები)ს გარდა გადაუხადოს შემსყიდველს ხელშეკრულების შეწყვეტისათვის პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, წინასწარ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
10.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია განახორციელოს მთლიანი მომსახურება ან მისი ნაწილი;
10.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს მხარეთა შეთანხმებით.
10.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
10.5.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
10.5.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
10.5.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელი: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - **თეიმურაზ ქოჩიაშვილი** და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტი - **გიორგი ნოზაძე** (შემდგომში „კონტროლის განმახორციელებელი“).
11.2 კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციებია:
11.2.1 გაუწიოს კონტროლი მომსახურების განხორციელების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
11.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა განხორციელებული მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და/ან მოთხოვნებს. (მ.შ. – ვალდებულებებს).
11.2.3 უზრუნველყოს განხორციელებული მომსახურების მიღება.
11.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
11.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლტან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

12.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მხოლოდ დადებითი დასკვნის საფუძველზე.
12.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსური დეპარტამენტის უფროსი - თენგიზ მიქავა.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და

დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.
14.3 პირობები რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ინტერესთა კონფლიქტი

15.1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, აგრეთვე ვიზების დამდები პირები, ამავდროულად ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესტა კონფლიქტში აღნიშნულ მიმწოდებელთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის და ბეჭდით დამოწმების დღიდან და მოქმედებს **2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

მიმწოდებელი:

შპს ინტერპრინტ ჯორჯია

_____

დირექტორი

ზურაბ ურუშაძე

შემსყიდველი:

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო

_____

უფროსის მოადგილე

დავით ალადაშვილი

დავით ალადაშვილი

სააგენტოს უფროსის მოადგილე